იაფ-ფასიანი გამოცემა

სტეფანე კონსტ. მის ზუბალაშვილის საფასით, № 11.

# რა არის დოსტაქრობა

ანუ

## როგორ არჩენენ ადამიანებს დანით?

(დ-რის ფიშერის წიგნიდამ).

ივ. პ. როსტომაშვილისა.

ფასი 5 კ.

ისყიდება „მოგზაურის" რედაქციაში (Межевая ул., № 72.) წიგნებით მოვაჭრეებს დაეთმობა შაურათ.

თბილისი.

სტამბა ექვ. ივ. ხელაძისა, რუსის ბაზარი, საეკკ. სახლი.

1903.



საქ. მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

36999

# რა არის დოსტაქრობა

ანუ

# როგორ არჩენენ ადამიანებს დანით?

(დ-რის ფიშერის წიგნიდამ).

## I.

ამ რამდენიმე დღის წინათ ივანეს ეკალი შაერჭო თითში. ივანემ ამას ყურადღება არ მიაქცია, თითქმის დაავიწყდა კიდეც. მაგრამ, აი, გავიდა რამდენიმე დღე და ივანემ მწვავე ტკივილი იგრძნო თითში სწორეთ იმ ადგილას, სადაც ეკალი შაერჭო. ტკივილთან ერთად, თითს სიმსივნეც მოემატა და ივანეს ეს ორი ღამე, რომ თვალი თვალზედ არ დაუკარებია. საშინელი ტეხისა და ტკივილისაგან ივანეს უძილობა დასჩემდა. დედაკაცებმა მოუტანეს რაღაცა მალამოები და დაადეს დასნეულებულს თითზე, მაგრამ თითი უარესად გაუხდა. ბოლოს გადაწყვიტეს ექიმთან წასვლა

მახლობელს ქალაქში. აქიმმა ივანეს თითი გაუსინჯა და უთხრა, რომ სიმსივნის გაუჭრელად ამის მორჩენა შეუძლებელიაო.

ივანეს და მის დედაკაცს არ ესიამოვნა აქიმის სიტყვა და სთხოვეს, გაუჭრელათ უწამლეო, წამალი მოგვეციო. აქიმმა უთხრა: ტყუილათ უარობთ გაჭრას, გაუჭრელათ თითის მორჩენა შეუძლებელია, ჩირქი მალე ძვლამდის ჩაატანს და მაშინ, იქნება, სამუდამოთ მთელი ხელიც დაკარგოვო, შეიძლება სიკვდილითაც გათავდეს საქმეო, თუ ახლავე არ გამაჭრევინებთ და წამალს ისე არ წამაცხობინებთო. აქიმის სიტყვებმა გასჭრეს, ივანე დასთანხმდა სიმსივნის გაჭრას; ტკივილი თითქმის სულ არ უგრძვნია ივანეს, რადგანაც გაჭრამ ერთი წამიც არ გასტანა. ივანეს ეშველა: რამდენიმე დღეში თითი სრულიად მოურჩა.

რა უნდა ვსთქვათ, სხვა, უფრო რთულ და მძიმე გაჭრაზედ, მაგალითად, მუცლისა, მკერდისა, თავისა, ძვლის გადახერხვაზე და მისთანებზე! სულ ტყუილი და უსაფუძვლო კია ასეთი შიში!.. წარმოსდგება ეს შიში, რასაკვირველია, უცოდინარობისგან და ამიტომ ამ წიგნაკში ჩვენ ვეცდებით მაგალითებით უვუხსნათ ქართველს მკითხველს, როდის და როგორ არჩენენ აქიმები დანით.

# II.

დაიწყოთ ასლად-შობილი ბალღიდამ. გაგონილი გექნებათ, ან იქნება გენახოთ კიდეც, რომ ზოგიერთი ბალღი ისე იბადება, რომ უკანა ტანი, ე. ი. უკანასკნელი ნაწლევი, სრულიად შეკრული აქვს, ასე რომ ბალღს, რამდენიც უნდა ჭამოს, ტანში ვერ ასაქმებს და, რა თქმა უნდა, რამდენიმე დღის შემდეგ ცოცხლივ უნდა მოკვდეს. აქიმი კი სულ ადვილად უშველის ასეთს ბალღს: დანის ერთი-ორი მოსმით, სულ რამდენსამე წამში გაუხსნის ბალღს უკანა ტანს, წასცხებს წამლებს და ბალღი ისევე კარგად გაიზრდება, როგორც სხვა ჯანმრთელი ბალღი. მოდი და ნუ იტყვი, რომ მართლაც უმეცრებაა კაცს აქიმის დანისა ეშინოდეს!..

აი მეორე მაგალითიც. გენახებათ ან გაგონილი გექნებათ, რომ ზოგიერთი ბალღი ტუჩ გაყოფილი იბადება, ე. ი. ზემო ტუჩი თითქოს განგებ ვიღაცას ორად გაუხევიაო. ასეთი სიმახინჯე, გარდა იმისა, რომ კაცს აუშნოებს, დიდად მავნებელიც არის ადამიანის ჯან-მრთელობისათვის; ადამიანი ისეა გაჩენილი, რომ მომეტებულათ ცხვირით უნდა სუნთქავდეს და არა პირით; პირი საჭმლის მისაღებად გვაქვს, ცხვირი—ჰაერის სასუნთქველად. გაყოფილი ტუჩი კი ძლიერ უშლის

კაცს პირის მოკუმშვას და ცხვირით სუნთქვას: უნდა თუ არ უნდა, ტუჩ-გაყოფილი კაცი მალა-უნებურად პირით სუნთქავს და ეს კი ძლიერ მავნებელია მისთვის. აქიმის დანა კი ხულ ერთს წამში გაუმთელებს ბალღს ორად გაყოფილს ტუჩს: დანის ერთი-ორი გასმით, აქიმი გაუჭრის გაყოფილს ტუჩს ძირში, შემდეგ გაუკერავს, წასცხებს წამლებს და როცა მორჩება, ზემო ტუჩიც ისევე მთელი ექნება, როგორც ქვემო.

 აი მესამე მაგალითიც. გეცოდინებათ, რომ ჩვენი ენა შეერთებულია ქვემო ყბასთან მოგრძო და მოქნილი კანით, რისგამოც ენას თავისუფლათ შეუძლიან მოძრაობა—წოვნა, ჭამა, ლაპარაკი და სხვ. გაგონილი გექნებათ, რომ ბალღი ზოგჯერ ისე იბადება, რომ ენის ეს შემაერთებელი კანი ისეთი მოკლე აქვს, რომ ენა თითქოს დაკრულიაო ქვემო ყბაზედ ბალღი ენას ვერ ანძრევს და ამიტომ ვერც ძუძუ მოუწოვნია და ვერც ხმა ამოუღია... მიჭკვარეთ ასეთი ბალღი აქიმს: დანის ერთის გასმით, აქიმი ერთს წამში განკურნავს თქვენს შვილს და ბალღს ლაპარაკის შნოც მიეცემა და საჭმელსაც კარგად შესჭამს.

## III.

გენახებათ რა არის სიმსივნე. ზოგი სიმსივნე ისე ჩქარა იზრდება, რომ რამდენსამე თვეში

ბალღის თავის ტოლა ხდება, ზოგი—მეტად ნელა იზრდება და რამდენსამე წელიწადში ძლივს მაჟალოს ტოლა გაეზრდება კაცს, ზოგი მაგარია, ზოგი რბილია, ზოგი ძლიერ მტკივანაა, ზოგი უმტკივნო, ზოგი ძვლებიდამ ამოდის, ზოგი კუჭიდამ, ღვიძლიდამ, ტყავიდამ, თვალიდამ და სხვ. და სხვ.

სიმსივნე საზოგადოთ შეუმჩნეველად გამოჩნდება ხოლმე. თუ სიმსივნე ტყავზე აუჩნდა ადამიანს, ის მალე შეამჩნევს მას, მაგრამ უბედურებაც იმაშია, რომ სიმსივნე ხშირად სადმე ჩვენს სხეულში გაჩნდება ხოლმე, სადაც ვერც თვალით დაინახავ მას და ვერც ხელით ჩასწვდები. იმის არსებობას ასეთს ადგილას მარტოოდენ მაშინ იგრძნობს ადამიანი, როცა ტკივილი ძალაუნებურად ყურადღებას მიაქცევინებს.

ახლა, საიდამ ჩნდება სიმსივნე ადამიანში? რა მიზეზია, რომ სიმსივნე ამ კაცს უჩნდება და არა იმას? რა მიზეზია, რომ ასეთი თუ ისეთი სიმსივნე უჩნდება ადამიანს? ყველა ამაებზე ჯერ კიდევ დანამდვილებით არაფერი იცის მეცნიერებამ, მაგრამ თითონ სიმსივნის გაზრდაზედ და მისგან წარმომდგარ ვნებაზედ კი უკვე ბევრი რამ არის მსწავლულ ექიმებისგან გამოკვლეული სიმსივნე ორ-გვარია: *მჭამელი* და *უვნებელი*. მჭამელი

სიმსივნე ისეთის თვისებისაა, რომ რაც უნდა უბრალო ადგილას ამოუვიდეს კაცს, თუ არ უწამლა, უთუოდ მოჰკლავს მას. ასეთი სიმსივნე ჩვეულებრივ ძლიერ ჩქარა იზრდება, ვრცელდება, იარავდება, ჩირქდება, რომლისგანაც იწამლება სისხლი. ასეთი სიმსივნით ავათმყოფი ძლიერ მალე ხდება, ფერი ეკარგება და სულ მცირე ხანში კიდევაც კვდება.

გაგონილი გექნებათ, რა არის კუ. აი ეს კუ, მაგალითად, არის ის მჭამელი სიმსივნე, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ. კუს თუ არ უწამლეთ, ავათმყოფი უთუოდ მოკვდება. მაგრამ კუს გარდა არის სხვა მჭამელი სიმსივნებიც, რომლებიც თითონ კუზედაც უარესი და საშიშოა. რადგანაც კუ მომეტებულს შემთხვევაში ხნიერებს უჩნდებათ და ესენი კი ახალგაზრდებისაც არ ზოგავენ.

აი ასეთი მჭამელი და სასიკვდილო სივსივნეთა ერთად-ერთი წამალი და დამხსნელი დანაა და მოდი და პატივით ნუ მოიხსენიებ მას! თუ დასაწყისშივე მიასწრობთ ასეთს სიმსივნეს და ექიმს აჩვენებთ, რომელიც ძირიანად ამოსჭრის მას, ავადმყოფი უეჭველად გადარჩება სიკვდილს, უიმისოდ კი, უეჭველად სამუდამოდ და უდროვოდ უნდა გამოესალმოს ტკბილს სიცოცხლესა. სამწუხაროთ ასეთი ავათმყოფნი დასაწყისშივე იშვიათად ეჩვენე-

ბიან აქიმს და არც მუწუკს აჭრევინებენ, განა ღირს გაჭრადო, რაღაცა მუწუკიაო!.. ხოლო მერე, როცა სიმსივნე დაიარავდება და ძირს გაიდგამს მთელს ტანში, გაწვალებული და გამწარებული ავათმყოფი ბარემ მზათ არის, რომ აქიმმა მუწუკი ამოაჭრას, მაგრამ გვიანღაა, რომელი ერთი უნდა ამოსჭრას აქიმმა, რომ ავათმყოფი სიკვდილს გადაარჩინოს?..

აქ სამწუხარო ის არის, რომ ასეთი ავათმყოფები სრულიად ვერ გრძნობენ თავისს ცუდს მდგომარეობას და დღეს-ხვალიობით აგვიანებენ წამლობას. აი შეამჩნია კაცმა, რომ მხარს ქვემოთ მკლავი ცოტა დაუსივდა. გადის კვირა, თვე და ავათმყოფი მაინც არ ფიქრობს აქიმთან წასვლას. ერთხელ მოდის გზაზედ არხეინად და ხედავს წარწერას: „საავათმყოფო“.—„მოდი შევალ,—ფიქრობს—ის და ვუჩვენებ აქიმს, თუ რათ მტკივა მკლავიო“. შედის, იხდის ტანისამოსს და უჩვენებს აქიმს გატიტვლებულს მკლავს. აქიმი ერთის დახედვით სცნობს, რომ აქ მჭამელი სიმსივნეა. როგორ უთხრას საწყალს ავათმყოფს, რომ საქმე უკვე წაგებულია, რომ მთელი მკლავი ახლავე მოსაჭრელია, თორემ ავათმყოფი სიკვდილს ვერ გადურჩება!?.

დიახ, საჭიროა კარგად დაიხსომო, მკითხველო, რომ მჭამელი იარა თუ სიმსივნე დაუყოვნებლად უნდა ამოიჭრას ხოლმე დანით!..

რაც შეეხება უვნებელ სიმსივნეთ, ესენი მარტო მაშინ არიან უვნებელნი, როცა ისეთ ადგილას არიან ამოსულნი, რომ სრულიად არაფერს უშლიან კაცს, თუმცა ხშირად რამდენსამე გირვანქასაც იწონენ ხოლმე. მაგრამ თუ ასეთი სიმსივნე ისეთ ადგილას არის ამოსული, რომ უანურატოს ანუ სასულეს უჭირებს, მაშასადამე, უქადის კაცს დახრჩობას, ასეთს შემთხვევაში, თქმა არ უნდა, ასეთი უვნებელი სიმსივნეც უნდა ამოიჭრას. განსაკუთრებით საშიშოა ასეთი სიმსივნე, როცა ისინი აჭერენ ხერხემლის ანუ თავის ტვინს. როცა ასეთი სიმსივნე ხერსემლის ტვინს აბრკოლებს, კაცს ორი ფეხი ანუ ორივე ფეხი და ხელები ერთმევა: ავათმყოფი ხედავს, რომ ფეხებიც და ხელებიც მვლებური აქვს, არც გამხდარია, არც სტკივა და ვერ კი დაუმრავს ადგილიდამ, ვერ გაუნძრევია. ეს კი სულ იმისგან არის, რომ ჩვენს ყოველს მოძრაობას ტვინი განაგებს და რაკი ტვინი მოშლილია, ტვინს რაღაცა აბრკოლებს, ასეთს ავათმყოფს ხელ-ფეხიც ვერ გაუნძრევია. გარდა ამისა, ვისაც ხიმსივნე ტვინს უვიწროვებს, ის სრულიად ჰკარგავს გრძნობას ფეხებში, ზურგზე, მუხლზე და ზოგჯერ ხელებშიაც. რამდენიც უნდა ვჩხლიტოთ ასეთ გრძნობა-დაკარგულ ფეხებს, ავათმყოფი ვერაფერსა გრძნობს, თითქო ფეხები მისი არ არისო.

კიდევაც ამიტომ არის, რომ ასეთი ავათმყოფნი მუდამ ჩივიან, ხელები და ფეხები მკვდარი გვაქვსო. ეს ცოტაა: ასეთი აყათმყოფნი მალე ისე ისვრეაიან ლოგინში, როგორც მუმუ-მწოვარა ბავშვები, რადგანაც სრულიად ვერა გრძნობენ საჭირო ადგილს გასვლის საჭიროებას.

როცა სიმსივნე ასე დააჭერს და შეავიწროვებს თავის ტვინს, ეს უფრო უარესია. ასეთს ავათმყოფებს ემართებათ საშინელი თავის ტკივილი, ჰირღებინება, ჭკარგვენ მხედველობას, მსმენელობას და აგრეთვე ერთმევათ ხელები და ფეხები.

მორჩენა ასეთის ავათმყოფებისა მუდამ არ შეიძლება, რადგანაც სიმსივნე შშირად ისე ღრმადა მქვს ტვინში, რომ დანით მუწუკამდის ვერ მისვალ ტვინის გაუჭრელათ, და ტვინის გაჭრა კი ისეთი ადვილი არ არის, როგორც ტყავისა ანუ ხორცისა. ხოლო, თუ სიმსივნე გარედამ აქვს ტვინს, მაშინ კი ადვილია მისი ამოჭრა და ავათტყოფის მორჩენა...

## IV.

პატარა წიგნში შეუძლებელია მოგითხროთ ყველა ის შემთხვევა, როცა მკურნალი თავისი დანით გადაარჩენს ხოლმე ავათმყოფებს სიკვდილს და

აუტანელს წვალებას. ვიტყვით მხოლოდ მოკლეთ, რომ მკურნალეები თავისი დანის რამდენიმე გასმით ხშირად უბრუნებენ ბრმებს მხედველობას, ყრუებს მსმენელობას, კუზიანებს წერწეტს ტანსა, კოჭლებს ფეხის სისწორეს და სხვ. და სხვ.

განსაკუთრებით დიდად დახელოვნდნენ დანის ხმარებაში ეხლანდელი აქიმები: სრულიად ადვილად და უფათერაკოთ, ეხლანდელი აქიმები უჭრიან ავათმყოფებს მუცელს, ფილტვებს, თვალებს, უხერხავენ ძვლებს და მერე ისე ოსტატურათ გაუკერავენ ხოლმე გაჭრილს ადგილებს, რომ გამრთელების შემდეგ გაჭრილს ადგილს არც კი ეტყობა და არც ასო უშნოვდება ადამიანს.

მაგრამ შესანიშნავი აქ უფრო ის არის, რომ ეხლანდელი დოსტაქრები ანუ ხირურგები (ასე ეძახიან იმ აქიმებს, რომლებიც დახელოვნებულნი არიან გაჭრით წამლობაში) ისე ხელოვნურად სჭრიან ადამიანის რომელიმე ასოს, რომ ავათმყოფი არავითარს ტკივილს არა გრძნობს და არც არა მეტს სისხლს ჰკარგავს გაჭრითა. ეს ცოტა არ იყოს საეჭვოთ ეჩვენება ქართველს მკითხველსა, მაგრამ აქ საეჭვო არაფერია, ყველა ეს მართალია.

ავხსნათ ჯერ როგორ იცავენ აქიმები გაჭრილს ავათმყოფებს მეტის სისხლის დაკარგვი-

სავან. მოგეხსენებათ, რომ გაიჭრით თითს ან შინვე სისხლი წამოვა. ეს სისხლი გამოდის მასხვა ადგილს თუ არა, გაჭრილი ადგილიდამ მარღვებიდამ, რომლებიც გამოდიან გულიდამ. მარღვები ზოგი დიდია—მსხვილი, ზოგი პატარა—წვნიკი. აი, რომ გაჭრის დროს ავათმყოფს ბევრი სისხლი არ დაეკარგოს, მკურნალი ჯერ მოსძებნის ამ მსხვილ ძარღვებს და შეჰკრავს მათ ისე, რომ იქიდამ სისხლი ველარ გამოვა. მაშინ აიღებს დანას და გაუჭრის ავათმყოფს დანიშნულს ადგილს.

თუ გასაჭრელი ადგილი ხელზე ანუ ფეხზეა, რომ გაჭრის დროს ავათაყოფს სისხლი არ დაედინოს, აქიმები ასე იქცევიან: დაახვევენ მთელს ფეხზედ ანუ ხელზედ მაგრათ, თავიდამ ბოლომდის, რეზინის არტახს; ეს არტახი ისე ძლიერათ გაუჭერს ფეხს, ანუ ხელს, რომ სისხლი სულ ზევით სხეულში გაიკრიფება; მაშინ შეუკრავენ მაგრადვე ფეხს თუ ხელს თავში, რომ სისხლი ქვემოდ აღარ წამოვიდეს და რეზინის არტახს კი ახსნიან. ამის მერე ფეხი ანუ ხელი მკვდრის ფერისა ხდება და რამდენიც უნდა გასჭრათ, სისხლი არ გამოედინება.

ცხადია, რომ ავათმყოფს ახლანდელს დროში სრულიად არ უნდა ეშინოდეს მეტის სისხლის დაკარგვისა...

ავხსნათ ისიც, თუ როგორ ახერხებენ აქიმები, რომ კაცს სჭრიან და ავათმყოფი კი ტკივილს არა გრძნობს. აი როგორ ხდება ეს:

მსწავლულები დიდს ხანს ეცადნენ გამოეგონათ ისეთი რამ საშუალება, რომ გაჭრის დროს ადამიანი ტკივილს არა გრძნობდეს. მაგრამ ამაოდ. მხოლოდ ამ 40—50 წლის წინათ ერთმა ამერიკელმა მეცნიერმა აღმოაჩინა ისეთი წამალი, რომ ადამიანი ამ წამლისაგან ისე მაგრად იძინებდა, რომ სადაც უნდა გაეჭრათ ხორცი მისთვის ძილის დროს, ის ვერაფერს გაიგებდა. ყველა ნათლად ხედავდა ასეთი წამლის დიდ სარგებლობას, მაგრამ მაინც მალე ვერ გავრცელდა მისი საყოველთაოდ ხმარება. გავიდა რამდენიმე წელიწადი, სანამ თვით აქიმებიც კი მიეჩვეოდნენ მის ხმარებას და დარწმუნდებოდნენ მის სარგებლობაში. მალე ამას მოჰყვა სხვა ამგვარი წამლების აღმოჩენა მსწავლულებისგან, ასე რომ დღეს უკვე რამდენიმე უვნები საშუალება არსებობს, რომ ავათმყოფი სრულიად არა გრძნობდეს გაჭრისგან წარმომდგარ ტკივილსა.

თუ გასაჭრელი ადგილი თვალში, ცხვირში ანუ პირშია, მაშინ საკმაოა გასაჭრელ ადგილს წაუსვან ეგრედწოდებული კ ო კ ა ი ნ ი, რომ ავათმყოფმა სრულიად არ იგრძნოს ტკივილი, რად-

განაც, თუმცა კოკაინისგან ავათმყოფი არ იძი-
ნებს, მაგრამ ის ადგილი, სადაც კოკაინს წაუს-
ვამთ, უგრძნობი ხდება და შეგვიძლიანთ უტკივნე-
ლათ გასჭრათ. თუ გაჭრა სხეულის რომელიმე
სხვა ნაწილისა, ცოტას დროს მოითხოვს, მაშინ
ავათმყოფს ასუნებინებენ ერთნაირს წამალს, რის
გამოც იმას მაგრად დაეძინება ცოტას ხნით, სულ
რამდენიმე წამით. აქიმი საჩქაროდ გაუჭრის ავა-
თმყოფს დანიშნულს ადგილს (ამოუღებს კბილს,
ამოსჭრის მუწუკს, გაუკვრავს კანს და სხვ.) და
დაძინებულს ავათმყოფს ამ დროს არა თუ სრუ-
ლიად არაფერი ტკივილი არ ესმის, პირიქით,
კარგ სასიამოვნო სიზმრებსაც ხედავს; მაგალი-
თად, როცა მას კბილს ჰგლეჯენ, მას ჰგონია,
რომ ის მშვენიერს გემრიელს საჭმლებს გიახ-
ლებათ, მეორეს ეჩვენება, რომ ვითომც ის მშვე-
ნიერს წალკოტში დასეირნობს, მესამეს, რომელ-
საც გაჭრილს ადგილს უკერავენ, ჰგონია, რომ
ის სადღაც ბანაობს და დიდს სიამოვნებას გრძნობს
და სხვ. ასე რომ, როცა აღვიძებენ ასეთს ავათ-
მყოფებს, ესენი უსიამოვნებას აცხადებენ, რათ გა-
გვაღვიძეთო, სიამოვნება რათ მოგვიშალეთო.

მაგრამ უმეტესი ნაწილი გაჭრით წამლობისა
ასე საჩქაროთ ვერ კეთდება; ბევრი ავათმყოფობა
ისეთი მძიმეა, რომ მისი გაჭრა დიდს დროს

ათსოულობს,—ერთს, ორს და მეტს საათსაც. თქმ
არ უნდა, რომ ასეთს შემთხვევაში რამდენიმე წა-
მით დაძინება სრულიად გამოუსადეგარია, აქ სა-
ჭიროა ხანგრძლივი ძილი. ჩვენდა საბედნიეროთ
ესლანდელმა სამკურნალო მეცნიერებამ ასეთი წა-
მალიც აღმოაჩინა. ეს გახლავთ ეგრედ-წოდებული
ხ ლ ო რ ო ფ ო რ მ ი ა ნ უ ე თ ე რ ი. რომელს ავათ-
მყოფსაც კი ასუნებინებენ ამ წამალს, ის დიდს
ხნობით იძინებს და ამ დროს, როგორც გინდათ
ისე გახჭერით ანუ მოსჭერით ფეხი, ხელი თუ სხვა
ასო... ავათმყოფი ვერაფერს გაიგებს. ეს კი, სი-
მართლე უნდა სთქვას კაცმა, ნამდვილი სასწაულია!

ასე არ იყო უწინ. უწინდელი აქიმები ცო-
ცხლივ სჭრიდნენ ავათმყოფებსა! როგორი ჯო-
ჯოხეთური ტკივილი უნდა აეტანა ავათმყოფს,
ამის წარმოდგენა მკითხველისთვის მიგვინდვია.
მარტო გაჭრილის გულის გამგმირავი ყვირილი
(რომელსაც თვით მაშინდელი გულ-ქვა აქიმებიც
ვერ უძლებდნენ) წარმოიდგინე, მკითხველო, და
მენ სავსებით დაგეხატება მოყვანილის ცნობების
სიდიადე. მოდი და მუხლს ნუ მოიდრეკ დღევა-
ნდელი მეცნიერების წინაშე!..

## V.

გგონია, დარწმუნდი მკითხველო, რომ რაც
უნდა ძნელი გასაჭრელი იყოს რომელიმე ნაწ-

წილი სხეულისა, დღეს ყველას თამამად შეგვიძლიან მივენდოთ აქიმებს და მათს დანებს, ხერხებს და სხვა იარაღებს. მაგრამ დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რომ გაჭრით კი მშვენივრად გასჭრიდნენ დაავადებულს ადგილს, არც ავათმყოფი იგრძნობდა ხოლმე რამე ტკივილს, არც სისხლს დაჰკარგავდა მეტსა, მაგრამ გავიდოდა ცოტა ხანი თუ არა, ასე კარგათ გაჭრილი და შახვეული ადგილი, უეცრად კვლავ ასტკივდებოდა ავათმყოფს, იარიდამ ჩირქი დაუწყებდა დენას და გაჭრით თითქმის სრულიად მორჩენილი ავათმყოფი მხოლოდ ამ უბრალო მიზეზით მალე ეთხოვებოდა სიცოცხლეს—კვდებოდა. ასეთ მდგომარეობაში აქიმებს ისე გაჭრის შედეგი არ აწუხებდათ, როგორც გაჭრილის დაჩირქება. მარტო ერთი ფიქრი იმაზედ, რომ ვაი თუ მშვენივრად გაჭრილს და შეკერილ-შეხვეულს ადგილს ჩირქი გაუჩნდესო, თმას ყალხზედ უყენებდა აქიმებს და არ იცოდნენ რა ექნათ, რით ეშველათ, როგორ მოევლოთ ამ ჭირისათვის!.. ტკივილზედ და სისხლის დაკარგვაზედ მეტი ჭირი იყო ეს, რადგანაც იშვიათი იყო, რომ ას გაჭრილში ათი ანუ ოცი მორჩენილიყო, დანარჩენები კი სწორედ მაშინ ესალმებოდნენ სიცოცხლეს, როცა დოსტაქრის დანამ ეს იყო სიცოცხლე დაუბრუნა მათ... ზევ-

36999

რი იფიქრეს ექიმებმა და მეცნიერებმა, ბევრი იმტვრიეს თავი მიეგნოთ ამ დაჩირქების მიზეზთამიზეზისათვის, მაგრამ ამაოდ... ბოლოს აღმოაჩინეს, რომ დაჩირქების მიზეზი სულ ის წაწყმედილი ბ ა ქ ტ ე რ ი ე ბ ი ყოფილა, წვრილი, თვალუხილავი მცენარეები, რომლებიც ჩვენგან უხილავად მუდამ დაცურავენ ჰაერში. თურმე გაჭრის დროს, ეს ბაქტერიები ცვივდებოდნენ ჭრილობაზედ, აქ ფესვს იდგამდნენ და მშვიდობიანად მორჩენილს ასოს კვლავ ავად ხდიდნენ ახალის უარესის სენით—დ ა ჩ ი რ ქ ე ბ ი თ. დიდს ხანს სამკურნალო მეცნიერებამ არ იცოდა, რით და როგორ ებრძოლა ამ უცნაური სენის წინააღმდეგ, მაგრამ ღვთით დღეს ამასაც სძლია. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ამ ბაქტერიებს კარგათ სწყვეტავს და სპობს დიდი სიცხე, კარბოლის სიმჟავე, სულემა, სპირტი და სხვ. ეს არის მიზეზი, რომ ახლა, სულ უბრალო გაჭრასაც არ მოახდენენ უიმისოდ, რომ ეს ბაქტერიები ჯერ სრულიად არ გაწყვიტონ იქ, სადაც ავათმყოფი უნდა გასჭრან. ამისათვის უპირველეს ყოვლისა დიდის ბეჯითობით მოჰბანენ ცხელის წყლით, საპნით და ჩოტკით იმ ადგილს, სადაც უნდა გასჭრან იარა, რომ მოაშორონ მთლათ უწმინდურემა, რომელშიაც შეიძლება იყოს ბაქტერიები. შე-

მდეგ ამავე ადგილს მოჰბანენ კარბოლის სიმჟავით, სულემათი, სპირტით ანუ მის გვარი წამლებით, რომ სრულიად დახოცონ იქ მყოფი ბაქტერიები. თითონ აქიმებიც და მათი თანაშემწენიც ასე ბეჯითად იბანენ ხელებს და იცმენ თეთრ, სპეტაკ ხალათებს და ფეშტამალებს, ცხელს ორთქლში გამოხარშულებს, რომ, თუ მათში ბაქტერიები იქნებოდნენ, სულ დაიხოცნენ. ასევე ასუფთავებენ დანებს, რომლებსაც დიდს ხანს რეცხავენ ადუღებულს წყალში, რომ ერთი ბაქტერიაც არ შევიდეს მათგან გაჭრილს ადგილში. ერთი სიტყვით, საქმე ისეა მოწყობილი, რომ სავსებით გასწყვიტონ ეს ჩირქის მშობელი ბაქტერიები და აკი შრომაც მუქთად არ ჩაუვლით ხოლმე: ასი გაჭრილიდამ დღეს აღარც ერთი არ კვდება, ყველა ღვთით მშვიდობიანად იკურნება! გაუმარჯოს მეცნიერებას, გაუმარჯოს მეცნიერებს! გაგიმარჯოს შენც ქართველო მკითხველო, რომ მარად გულის წარმტაცობით ეწაფებოდე მეცნიერებას და თვით შენც მუშაობდე მის გასამდიდრებლად...

## დოქტორის პ. ჟ. ვიხრეკის

### დაკვირვებანი მაგარის სასმელების მოქმედება-გავლენის შესახებ ადამიანის ჯანმრთელობაზედ.

არაყი, ღვინო, ლიკორი და სხვა ყოველგვარი მაგარი სასმელი, რომელსაც კი ხმარობს ადამიანი, უუძლიერესი შხამია. არ არის არც ერთი ადგილი ადამიანის სხეულში, რომ თავისი დაღი არ დაასვას ამ შხამმა, თუ ადამიანი უზომოდ ხმარობს მას. ტვინი, ძვალი, კაკნატელა, კუნთი და სხვა ყოველი, რაც კი მოიპოვება ჩვენს სხეულში, აუცილებლად სნეულდება შიგნით მიღებულ ღვინო-არყისაგან და რამდენადაც უფრო ნაზია სხეულის რომელიმე ნაწილი. იმდენადვე მეტია ამ სასმელების დასაღუპი გავლენა მასზედ, რისგამოც იმდენათვე მეტი დასაღუპი გავლენა აქვს ადამიანის ჯან-მრთელობაზედ, რამდენადაც უფრო ახალგაზდა და ნორჩია თვით ადამიანი. მაგარი სასმელების შხამი საბოლოვოდ სპობს სხეულის გასაზრდელ-გასახსნელს ელემენტებს და მით უდროვოდ მიჰყავს მისი პატრონი უძლურ სიბერისაკენ. შიგნით მიღებული მაგარი სასმელი, კუჭიდამ პირდაპირ გადადის სისხლში და ამით საშინლად ასნეულებს სისხლის ძარღვების კანს, ე. ი. მის შიგნითა ნაწილებს და სტოვებს მათზედ კირსა. ასევე მოქმედებს ღვინო ტვინზედ, სადაც აგრეთვე მრავლად სტოვებს ამ მიწალსა, რისგამოც ტვინის სისხლის ძარღვები ადვილ-გასახეთქები

ხდებიან. აგრეთვე ძალიან ცუდად მოქმედობს მაგარი სასმელის უზომოდ ხმარება თვით კუჭის შიგნითა კან-ზედ, სადაც ადამიანს ადვილათ უჩნდება კუ, სიმსივნე და სხვა. მაგარი სასმელები მოქმედებენ ცუდად აგრეთვე ღვიძლზედ, რომელიც სრულიად იბრიცება მისგან, რაიცა ძლიერ ბრკოლდება წესიერათ ბრუნვა სისხლისა ჩვენს სხე-ულში. ღვინისა და სხვა მაგარი სასმელების ასეთი მავ-ნებელი გავლენის შესახებ ადამიანის სხეულის ყოველ ნაწილზედ ბ-ნს ვიხრევს წარმოდგენილი ჰქონდა მთელი კოლლექცია პრეპარატებისა კავკასიის შარშანდელს გა-მოფენაზედ.

## ყავა მკურნალის კ. ბაჟენოვისა,

### როგორც საუკეთესო წამალი ბუასილისა.

ბუასილი არის დასნეულება ანუ დასივება და ანთება უკანა ნაწლევისა და ტანისა. ემართება უფრო მსუქან და სისხლ-ჭარბა ადამიანებს, შუა ხანში, აგრეთვე მუცლის შეკვრისგან, ხშირად ხმარებისგან სასაქმებელ წამლებისა, ლოთობისგან, ცხენზედ ხშირად ჯდომისგან და სხვა. ბუასილი ორ-გვარია: შინაგანი და გარეგანი და იმით იცნობება, რომ ამ სენით ავათმყოფს გამოაყრის მუწუკებს უკანა ტანში, საიდამაც სდის სისხლი. ანთების დროს ეს მუწუკები ისე ძლიერ აწუხებენ, განსაკუთრებით შინაგანი ბუასილის დროს, ავათმყოფს, რომ უშლის მოძრაობას. ავათმყოფს ამ დროს უკანა ტანში აუტყდება ქავილი, ტკივილები, გულის-ფრიალი და სისხლის დენა, რომლისგანაც, თუ ხშირად და მრავლად სდის, ავათმყოფი სისხლ-ნაკლებიანი ხდება და შეიძლება სიცოცხლესაც გამოესალმოს. სისხლის დენა ბუასილიანებს ჩვეულებრივ ემართებათ ერთხელ ორ-სამ-ოთხ-ხუთ თვეში. გამონადენი სისხლი მხიარული წითელი ფერისაა.

აი ამ სენის წამალი-უხვა გამოუგონია მკურნალს ბაჟენოვს და როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, დიდათაც რგებს ბუასილით ავათმყოფებს. ეს ყავა ისყიდება ყოველს აფთიაქში, სამ აბაზათ ნახევარ-გირვანქიანი კოლოფი და ისევე იხმარება, როგორც ჩვეულებრივი ყავა ეს ყავა მომზადე-

ბულია ათი სხვა და სხვა საგნიდამ და კიდევ იმით არის კარგი, რომ გარდა ბუასილისა, იგი იმავ დროს მშვენივრად არჩენს კუჭ-ნაწლავებსა და კარგი ყუათინი სასმელ-საჭმელიც არის. ვურჩევთ ბუასილიანებს თვიიონ გამოსცადონ აქ ნათქვამი. დარიგება ამ ყავის ხმარებისა თვითონ კოლოფზეა დაბეჭდილი.

# არაყი და რძე,

## როგორც საუკეთესო საშუალება დამბალი და სხვა-გვარ ციებ-ცხელების დროს.

სულ სხვა-გვარად მოქმედებს იგივე არაყი, ადამიანის ჯან-მრთელობაზედ, თუ მას ადამიანი წამლად ხმარობს. ჩაასხით პატარა ჭიქაში (რიუმკაში) ნახევრამდის ცივი ადუღებული რძე და დანარჩენი ნახევარი გადაავსეთ ჭაჭის არყით (დ. სარაჯევის ქარხნის ამ არაყს ზედ აწერია: „**Кахетинская водка**“ და ნახევარი ბოთლი ღირს 42 კაპ.) და მიირთვით ყოველ-დღე დილით უზმოზე. თუ საზოგადოთ დაჩვეული ხართ არყის ხმარებას, შეგიძლიანთ ასევე შემზადებული თითო ჭიქა არაყი სადილის წინათაც იხმაროთ, მეტი კი არ უნდა დალიოთ. დამბალ და ჩვეულებრივ ციებ-ცხელებიანებს სულ მცირე ხანში ისეთს ყუათს აძლევს ასე ხმარებული ჭაჭის არაყი, რომ ავათმყოფი თვით სენისგანაც მალე რჩება. პატარებს ჭიქის მეოთხედი რძე და მეოთხედი არაყი უნდა აურიოთ და ისე დაალევინოთ.

61
რ 853

გამოვიდა და ისყიდება „მოგზაურის“ რედაქციაში სტეფანე კ. ზუბალაშვილის საფასით გამოცემული შემდეგი საყოველთაოდ გამოსადეგი იაფ-ფასიანი წიგნები:

1. წერილი სოფლელ მუშას, ტ. ართმელაძისა . ფასი 5 კ.
2. დიფტერიტი, ი. ალხაზიშვილისა . . ფ. 5 კ.
3. დედა-აზრი მეცნიერებისა, ა. გვერგველაძისა . ფ. 5 კ.
4. ძველი რწმენა-წარმოდგენანი და მეცნიერება, მისივე . . . . . . ფ. 5 კ.
5. რა არის გონებითი გახსნა-განვითარება ი. რ—ლისა ფ. 5 ..
6. პურის მოყვანა ჩინურ-იაპონურის ანუ ბოსტნურის წესით, ი. რ—ლისა (უსაჭიროესი წიგნი ყოველი ქართველი ოჯახისათვის). . . . ფ. 5 კ.
7. დანაშაულობა-დამნაშავენი და იმათ წინააღმდეგ საბრძოლველი ახალი საშუალებანი, ის. კვიცარიძისა ფ. 5 კ.
8. რისგან იხოცებიან უდროვოდ ჩვენი ბავშვები და ამის აცილება წესიერის მოვლით, ი. რ—ლისა . ფ. 5 კ.
9. აფხაზთ გმირი აბრასკილი, იმედისა . ფ. 5 კ.
10. მეურნეობა და ახალი სკოლა, ივ. რ—ლისა ფ. 5 კ.
11. რა არის დოსტაქრობა ანუ როგორ არჩენენ ადამიანებს დანით? ივ. რ—ლისა . . . ფ. 5 კ.

ვინც ერთის მანეთისას ანუ მეტისას დაიბარებს ამ წიგნებისას, გასაგზავნ ხარჯს რედაქცია კისრულობს.